შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება. ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს. გაითვალისწინეთ, ტესტის II ნაწილში მოცემულია ორი ტექსტი. უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულოთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

(16 ქულა) 1.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისი სწრაფი ტემპით იზრდებოდა. ჩნდებოდა ახალახალი უბნები რაც გამოწვეული იყო მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებით, რკინიგზის მშენებლობით. აშკარა გახდა რომ მტკვარზე მყოფი რამდენიმე ხიდი ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის უკვე საკმარისი აღარ იყო, რადგან ეს ხიდები ერთმანეთიდან დიდი მანძილით იყო დაშორებული. ამის გამო ქალაქის არაერთ უბნებს შორის კავშირი გართულებული იყო.

1880 წელს თბილისის თვითმმართველობამ გადაწყვიტა, რომ ორთაჭალის, ვერისა და მუხრანის ხიდები აეშენებია და ამისათვის თანხაც გამოჰყო. ქალაქის სათათბიროში დიდი დავა იყო იმის თაობაზე თუ რომელი ხიდი უნდა აშენებულიყო უფრო ადრე. ვერის ხიდის აგებას აქტიურათ უჭერდა მხარს ნიკო ნიკოლაძე, ვინც კარგად ხედავდა, რომ ქალაქი უფრო ინტენსიურად ჩრდილოეთის მიმართულებით ვითარდებოდა. ამ ხიდით შესაძლებელი იქნებოდა ახალ უბნების რკინიგზის სადგურთან დაკავშირება. ვერის ხიდის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ რაც გაიჭრა ახალი ქუჩა – ვერის დაღმართი.

XX საუკუნეში ვერის ხიდი უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს. 1952 წელს აშენდა ახალი ხიდი რომელიც დღეს გალაკტიონის სახელობისაა.

II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი ტექსტიდან ერთ-ერთი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულეთ!

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები ბესიკ ხარანაულის ლექსიდან „კარტოფილის ამოღება“:

– ხვალე კარტოფილი უნდა ამოვიღოთ! –
მითხარი შენ
და საწოლისკენ სკამი მიიწიე,
რომელზეც შემდეგ,
შუქს რომ ჩააქრობდი,
ტანსაცმელი უნდა დაგეწყო.
მე კედლისკენ გადავბრუნდი.
ამით ისიც გაგრძნობინე,
რომ გავიგე შენი ნათქვამი
და ისიც გითხარ, რომ ხვალინდელ დღეს
სულ სხვა რამეებს ვაპირებდი:
– მე თხუთმეტი წლისა ვიყავი,
ხვალ კვირა იყო
და მე მქონდა ჩემი გეგმები.
მაგრამ შენ თქვი, რომ
კარტოფილი უნდა ამოვიღოთ…

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ეს დიდი ხნის წინათ იყო,
თიანეთში...
ჩვენი ეზო სულ თერთმეტი მეასედია,
მაშინ ნახევარზე კარტოფილს ვთესავდით.
გვეთესა ლობიოც, სიმინდიც…
და მხოლოდ სახლის წინ
ერთი ბეწო მოლიღა იყო დატოვილი,
რომ ნახირიდან მობრუნებულ საქონელს
გომურისკენ მიმავალი ბილიკი ჰქონოდა.

ახლა კი, მაინც ეს ბოლო წლები
ისე ცოტას ვთესთ,
რომ ერთ ბოთლ არაყად
ვისაც უნდა იმას დააბარინებ.
მაგრამ სულ სხვაა ამოღება –
შედეგი, ძიება და სიხარული.
შრომა, რა თქმა უნდა, დიდი არ უნდა,
მით უმეტეს, როცა ორნი იღებენ ხოლმე.
ერთი რომ ბარით კარტოფილს ამოჰყრის –
მეორე აჰკრეფს.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

როცა დედაჩემი მიწას აცლის კარტოფილს, ანდა
სადმე დამალულს ეძებს თავის გრძნეულ თითებით,
მე, ბარის ტარს დაყუდებული,
ვუყვები რამეს,
ხოლო როდესაც
ახალ ორმოს თხრას შევუდგები,
ის მეტყვის რამეს…
საჩოთიროს არაფერს ვიტყვით,
რომ გუნება არ გავიფუჭოთ.
რომ დავტკბეთ ასე,
ვილივლივოთ მზეში, ჰაერში,
ამოვთხაროთ ჩვენი წარსული,
ამოვყაროთ ოქროები,
პირი ვუჩინოთ...

მაგრამ არის ხოლმე კრიტიკული მომენტებიც,
როდესაც,
მაგალითად,

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

დედაჩემის წერილს მივიღებ,
რომელშიც იგი,
ჭეშმარიტი პედაგოგის ურყევი ტონით
მწერს – ჩამოდიო!
მე კი ამ დროს
სულ სხვა საქმეები მაქვს გამოჩენილი,
ანდა უბრალოდ,
სხვაგან წასვლა მირჩევნია...
მე კი კარტოფილი უნდა ამოვიღო!
ამ დროს მე ვანჩხლდები,
ვაპროტესტებ, ბრალს ვდებ:
რა არის ასეთი,
განა რა გახდა ბოლოს და ბოლოს,
ორი ტომარა მთელ წელსა გვყოფნის,
განა ღირს იმად, რომ ამდენს ვწვალობთ!
გაზაფხულზე იწერები – უნდა დავთესოთო,
შემოდგომაზე – ამოვიღოთო!

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

მაგრამ ბოლოს ჩემი ამბოხი,
როგორც წესი, იმით მთავრდება,
რომ ავიკრავ გუდა-ნაბადს
და მივდივარ თიანეთისკენ.

შარშან შემოდგომაზე მე და ჩემი ბიჭი ჩავედით.
ეს მისი პირველი საქმიანი წამოსვლა იყო.
დედაჩემი გაბედნიერდა: –
სახლს და ეზოს პატრონები ჩამოუვიდნენ!
და ისეთი უსუსური იყო იგი ამ სიხარულში,
როგორც არასდროს არცერთ გასაჭირში
არა ყოფილა…

ნახევარ საათში
ჩემი ბიჭი უკვე გაიტყუეს იქაურმა ამხანაგებმა.
ვიდრე ეზოდან გავიდოდა – შემოგვხედა, –
– რა ვქნა, წავიდეო?!

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ჩვენ იგი გავუშვით… თხუთმეტი წლისაა,
ისიც კარგია,
რომ სინდისმა შეაწუხა და ყოყმანი დაეტყო.

როცა საქმეს მოვრჩებით
და კარტოფილს დავაბინავებთ,
როცა ხელებს დავიბანთ
და ტანსაცმელს ჩამოვიბერტყავთ,
როცა დედაჩემი სამზარეულოს მიაშურებს,
როცა დასაღამოვდება და აგრილდება,
მე წამოვისხამ თბილ რაიმეს და სახლის წინ,
დიდი ვაშლის ძირში დავჯდები...

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რას იხსენებს ლირიკული გმირი ლექსის დასაწყისში?

ა) როგორ არაფრად აგდებდა დედის თხოვნასა და მუდარას.
ბ) როგორ გეგმავდა და წარმართავდა დედა საოჯახო საქმეებს.
გ) როგორ მორჩილად ასრულებდა დედის ყველა ახირებას.
დ) როგორ უშლიდა დედა თანატოლებთან გასართობად წასვლას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეექვსე გვერდზე

(1) 3. ბიჭის როგორ დამოკიდებულებას გამოხატავს სიტყვები: *„მე კედლისკენ გადავბრუნდი“*?

ა) აღშფოთებას.

ბ) თანაგრძნობას.

გ) უდარდელობას.

დ) უკმაყოფილებას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეექვსე გვერდზე

(1) 4. რას გვეუბნება მთხრობლის ბავშვობისდროინდელ ყოფაზე სტრიქონები:

„და მხოლოდ სახლის წინ
ერთი ბეწო მოლიღა იყო დატოვილი...“?

ა) დედა ეზოს თითქმის მთლიანად ათესვინებდა შვილს, რომ ბიჭს შრომა ბავშვობიდანვე შეჰყვარებოდა.

ბ) იმის შიშით, რომ ცარიელ მიწას ჩამოართმევდნენ, ადამიანები მიწის ყოველ სანტიმეტრს ამუშავებდნენ.

გ) მთიან რეგიონებს საქონლის საკვებით არავინ ეხმარებოდა და ამაზე ოჯახები თვითონვე ზრუნავდნენ.

დ) მიწის ყოველი გოჯის დამუშავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რათა ადამიანებს ეარსებათ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეექვსე გვერდზე

(1) 5. რას ნიშნავს სიტყვა: *„საჩოთირო“*?

ა) რაც სანერვიულო ხდება.

ბ) რაც სასაცილო ჩანს.

გ) რაც უხერხულობას ქმნის.

დ) რაც ტკივილს იწვევს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეექვსე გვერდზე

(1) 6. რა მხატვრული საშუალებაა:

„ამოვთხაროთ ჩვენი წარსული,
ამოვყაროთ ოქროები...“?

ა) გაპიროვნება.

ბ) მეტაფორა.

გ) შედარება.

დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეექვსე გვერდზე

(1) 7. რატომ აპროტესტებს უკვე ზრდასრული შვილი დედის წერილს?

ა) რადგან ბავშვობაში წინააღმდეგობის გაწევას ვერ ბედავდა, ახლა ბრაზობს მძიმე შრომაში გატარებული წლების გამო.

ბ) რადგან დრო იმ საქმის კეთებაზე უნდა დახარჯოს, რომელსაც უკვე არავითარი მატერიალური ღირებულება აღარა აქვს.

გ) რადგან დროთა განმავლობაში დედის მოთხოვნები იმდენად გართულდა, რომ მათი შესრულება შეუძლებელი გახდა.

დ) რადგან ცალკე მოხუცი დედა და ცალკე თხუთმეტი წლის შვილი საყვარელი საქმის კეთებაში მუდმივად ხელს უშლიან.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეექვსე გვერდზე

(1) 8. რას გვეუბნება მთხრობელზე მისივე სიტყვები:

„...ჩემი ამბოხი,
როგორც წესი, იმით მთავრდება,
რომ ავიკრავ გუდა-ნაბადს
და მივდივარ თიანეთისკენ“?

ა) ბავშვობიდანვე თავისი ნათქვამის ასრულებას არის მიჩვეული.
ბ) პროტესტის მიუხედავად, პატივს სცემს დედის სურვილს.
გ) სიტუაციის გამწვავების დროს ყოველთვის უკან იხევს.
დ) სხვის ჭკუაზე დადის, რადგან საკუთარი აზრი არ გააჩნია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეექვსე გვერდზე

(1) 9. დედის როგორი ხასიათი ჩანს ფრაზაში:

„ისეთი უსუსური იყო იგი ამ სიხარულში, როგორც არასდროს არცერთ გასაჭირში არა ყოფილა“?

ა) გასაჭირის გაძლება არ შეუძლია.
ბ) დაუცველი და სუსტი ადამიანია.
გ) ემოციური და ძლიერი პიროვნებაა.
დ) სულ ვიღაცის გახარებას ცდილობს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეექვსე გვერდზე

(1) 10. რაზე მიანიშნებს მკითხველს შვილიშვილის მოქმედება:

„ვიდრე ეზოდან გავიდოდა – შემოგვხედა, –
– რა ვქნა, წავიდეო?!“.

ა) ამხანაგებთან წასვლას კარტოფილის ამოღება ურჩევნია.

ბ) მისთვის ახალი ადამიანების გაცნობა უფრო საინტერესოა.

გ) მამის მსგავსად, ანგარიშს უწევს ოჯახის წევრების აზრს.

დ) მხოლოდ საკუთარ სიამოვნებასა და გართობაზე ფიქრობს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეექვსე გვერდზე

(1) 11. რაზე აკეთებს აქცენტს მთხრობელი ამ სტრიქონებით:

„მე თხუთმეტი წლისა ვიყავი...“

„ჩვენ იგი გავუშვით... თხუთმეტი წლისაა...“?

ა) ერთსა და იმავე ასაკში მამა-შვილი განსხვავებულად გამოხატავს უკმაყოფილებას.

ბ) ერთსა და იმავე ასაკში მამა-შვილი ერთნაირად იბრძვის საკუთარი ინტერესებისათვის.

გ) ერთსა და იმავე ასაკში მამასა და შვილს ერთნაირი ცხოვრების პირობები აქვთ.

დ) ერთსა და იმავე ასაკში მამისა და შვილის ცხოვრების პირობები განსხვავებულია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეექვსე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. რა შეიძლება იყოს სხვადასხვა თაობისა და განსხვავებული ინტერესების ადამიანებს შორის კავშირის საფუძველი.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები იაკობ ხუცესის თხზულებიდან „შუშანიკის წამება“:

მერმე მიავლინა [ვარსქენმა] ჯოჯიკ, ძმაი თვისი, და ცოლი ჯოჯიკისი, ძმის ცოლი თვისი, და ეპისკოპოსი სახლისა თვისისაი და ჰრქუა მათ:

– ესრეთ არქუთ: აღდეგ და მოვედ ადგილსა თვისსა და ნუ ეგევითარი გონებაი გიპყრიეს. უკუეთუ არა, თრევით მოგითრიო!

და ვითარ მიიწინეს და შევიდეს წინაშე დედოფლისა და მრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყოდეს მას, მაშინ წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მათ:

– კაცნო ბრძენნო, თქუენ კეთილად იტყვით, გარნა ნუ დაგიჯერებიეს, თუმცა მე მისა ცოლად-ღა ვიყავ? მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჭეშმარიტი აღიაროს, და აწ მე მაიძულებთ ამას ყოფად? ნუ იყოფინ ესე ჩემდა! და შენ, ჯოჯიკ, არღარა ჩემი მაზლი ხარ, და არცაღა მე შენი ძმის ცოლი, არცა ცოლი შენი დაი ჩემი არს, რომელნი მის კერძო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ.

ჰრქუა მას ჯოჯიკ:

– უწყი მე, აწ მოავლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყვანოს შენ.

წმიდამან შუშანიკ ჰრქუა:

– ხოლო უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის, რამეთუ მით სახითა იყოს განჩინებაი ჩემი მისგან.

და ვითარცა ესმა ესე მისგან, ცრემლოოდეს ყოველნი. და ჯოჯიკ აღდგა და ცრემლით გარე განვიდა.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ეპისკოპოსსა:

– ვითარ მეტყვი მე დაჯერებად ჩემდა, რამეთუ მან ღმერთი უვარ-ყო?!...

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

და ვითარცა ფრიად აურვებდეს მას, აღდგა წმიდაი და ნეტარი შუშანიკ და თანა წარიტანა ევანგელეი თვისი და ტირილით ესრეით იტყოდა:

– უფალო ღმერთო, შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად სიკუდილდ მივალ.

ესე თქუა და წარვიდა მათ თანა და თანა წარიტანნა ევანგელეი თვისი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი. და რაჟამს შევიდა იგი ტაძარსა მას, არა დაჯდა იგი თვისსა მას გალიაკსა, არამედ სენაკსა შინა მცირესა. და აღიპყრნა ხელნი თვისნი ზეცად წმიდამან შუშანიკ და თქუა:

– უფალო ღმერთო, არცა მღდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალეი, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკუდილდ მიმითუალეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენს...

. . . . . .

და ვითარცა ესმა ჯოჯიკს, ვითარმედ მიახლებულ არს ნეტარი დედოფალი წმიდაი შუშანიკ სიკუდილდ, წარვიდა და თანა წარიყვანნა ცოლი და შვილნი და მონა-მხევალნი მისნი. და მივიდა ციხედ ხილვად სანატრელისა შუშანიკ მარტვილისა. პირველთა მათ უწესოთა საქმეთა აღუარებდა და ევედრებოდა წმიდასა შუშანიკს და ეტყოდა:

– სძალო და მხევალო ქრისტეისო, ითხოვე ღმრთისაგან, რაითა მომიტევნეს მე მრავალნი შეცოდებანი ჩემნი. და თუ რაიმე შეგცოდეთ, ვითარცა კაცთა საწუთროისათა და სოფლის მოყუარეთა, მოგვიტევენ და ნუ მოიხსენებ მედგრობათა ჩემთა.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ჯოჯიკს და ცოლსა მისსა:

– ჰყავთ წარმდებად საქმეი ესე ჩემი, რამეთუ არა ვინ იპოვა კაცთაგანი, რომელსამცა აქუნდა წყალობაი და ტკივილი ჩემთვის, რომელმანმცა შეაჯერა უღმრთოსა მას საწუთროსა მეუღლესა.

ხოლო მათ ჰრქუეს:

– ჩუენ თვინიერ შენსა ფრიად დავშუერით, გარნა არა იყო სმენაი, არცა სიტყუაი.

მაშინ ჰრქუა წმიდამან შუშანიკ:

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

– განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა-იგი არა არს თუალღებაი წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაისა და მეუფისა მის მეუფეთაისა, სადა არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისაი, სადა მე და მან სწორი სიტყუაი ვთქუათ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეისა; მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნო, შუენიერებაი სიკეთისა ჩემისაი დააბნელა და დიდებაი ჩემი დაამდაბლა. და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის. ხოლო მე აწ ამას ვჰმადლობ ღმერთსა, რამეთუ ტანჯვითა მისითა მე ლხინებაი ვპოო, და გუემათა და თრევათა მისთათვის მე განსუენებასა მივემთხვიო და უგულისხმოებისა და უწყალოებისა მისისათვის მე წყალობასა მოველი იესუ ქრისტეის მიერ უფლისა ჩემისა.

ხოლო იგინი ამას ყოველსა სიტყუასა მისსა ზედა ტიროდეს მწარედ და ჰრქუეს:

– მოგვიტევენ ბრალნი ჩუენნი და გუაკურთხენ, წმიდაო მოწამეო და მარტვილო სანატრელო ქრისტეის ღმრთისაო.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა:

– ღმერთმან მოგიტევენინ, რომელ რაი-იგი ჰყავთ.

მაშინღა აკურთხა ჯოჯიკ და ცოლი და შვილნი მისნი და მონა-მხევალნი მისნი და ყოველი ეზოი და პალატი მისი. და ამცნებდა სლვად გზათა ღმრთისათა და ეტყოდა, ვითარმედ:

– ესე ყოველი ცხორებაი, ვითარცა ყუავილი ველთაი, წარმავალ არს და დაუდგრომელ, და ვინ სთესა, მოიმკო, და ვინ განაბნია გლახაკთათვის, შეიკრიბა, და რომელმან წარიწყმიდოს თავი თვისი, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რა შეუთვალა ვარსქენმა შუშანიკს მოციქულების პირით?

ა) თავის მშობლებთან წასულიყო.
ბ) სასახლეში დაბრუნებულიყო.
გ) სარწმუნოება შეეცვალა.
დ) შვილებთან კავშირი გაეწყვიტა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 3. შუშანიკის სიტყვებით, რა არ უნდა დაიჯერონ მოციქულებმა?

ა) რომ ვარსქენს მასზე ძალადობა შეუძლია.

ბ) რომ ვარსქენს ოდესმე დაუპირისპირდება.

გ) რომ ვინმე ვარსქენს მხარს დაუჭერს.

დ) რომ ის კვლავ ვარსქენის ცოლი იქნება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 4. რაზე დასწყდა გული შუშანიკს?

ა) ქრისტიანული წიგნების წაღების უფლება რომ არ მისცეს.
ბ) სასახლეში სადედოფლო ოთახში რომ არ შეუშვეს.
გ) ეპისკოპოსმა მისი ნახვა და მოსმენა რომ არ ისურვა.
დ) გულშემატკივარი და დამხმარე რომ არავინ გამოუჩნდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 5. რატომ მოინახულა ჯოჯიკმა თავის ოჯახთან ერთად შუშანიკი ციხეში?

ა) გადაწყვიტა, ერთმანეთზე განაწყენებული რძალი და ცოლი შეერიგებინა.
ბ) უნდოდა, მომაკვდავი დედოფალი როგორმე სასახლეში დაებრუნებინა.
გ) შეიტყო, რომ ნეტარი შუშანიკი სიცოცხლის ბოლო დღეებს ითვლიდა.
დ) სურდა, თავისი მონა-მხევლებისთვის ცოცხალი მარტვილი ეჩვენებინა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 6. რას გვეუბნება ჯოჯიკის შესახებ სიტყვები: *„უწესოთა საქმეთა აღუარებდა“*?

ა) სიმართლეს უარყოფდა.
ბ) ცოდვებს ინანიებდა.
გ) უღირსად იქცეოდა.
დ) მაზდეანობას აღიარებდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 7. სად ელოდება შუშანიკი სამართლიანობის აღდგენას?

ა) პიტიახშთა კარის სასამართლოზე.
ბ) უზენაესი მეუფის სამსჯავროზე.
გ) საერო პირთა თავყრილობაზე.
დ) სასულიერო პირთა შეკრებაზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 8. რომელ ფრაზაშია გამოყენებული სიტყვა *მიკერძოება*?

ა) „...ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა...“.
ბ) „...სადა-იგი არა არს თუალღებაი წინაშე მსაჯულისა...“
გ) „...ნუ მოიხსენებ მედგრობათა ჩემთა“.
დ) „და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 9. რას ელოდება შუშანიკი ვარსქენისაგან მიყენებული ტანჯვის სანაცვლოდ?

ა) რომ დედოფლის ნათესავები მოძალადეზე შურს იძიებენ.
ბ) რომ ქრისტიანები ურწმუნო პიტიახშს სასტიკად დასჯიან.
გ) რომ უფალი თავის მოწამეს იმქვეყნად შვებას მიანიჭებს.
დ) რომ ღმერთი ამქვეყნად დიდებას კვლავ დაუბრუნებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 10. **რა მხატვრული საშუალებაა:** *„ესე ყოველი ცხორებაი, ვითარცა ყუავილი ველთაი, წარმავალ არს...“*?

ა) ეპითეტი.
ბ) ალეგორია.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე]

(1) 11. **რას ნიშნავს ფრაზა:** *„ვინ განაბნია გლახაკთათვის, შეიკრიბა...“*?

ა) ვინც გლახაკები გარს შემოიკრიბა, მან ყველა დაბრკოლება გადალახა.

ბ) ვინც სიღარიბისაგან თავი დაიხსნა, მან დასახულ მიზანს მიაღწია.

გ) ვინც უპოვრებს ხელი გაუმართა, მან აურაცხელი ქონება მოიხვეჭა.

დ) ვინც ღატაკებს ქონება დაურიგა, მან სულიერი სიმდიდრე დააგროვა.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე](#)

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. ღირსეული ადამიანები ხშირად განსაცდელის წინაშე მარტონი რჩებიან.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.